ქუთაისის
მუნიციპალიტეტი

# ქალაქ ქუთაისის საკრებულოს წევრის საქმიანობის ანგარიში

2022-2023

## ნინო ჩიკვაშვილი

საკრებულოს წევრი, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი
ქუთაისის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი
განათლების,კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის კომისიის წევრი

ქართულ-ამერიკული სკოლა პროგრესის ქსელის დამფუძნებელი, გენერალური დირექტორი



2022-2023 საანგარიშო წლის მანძილზე დავესწარი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-15 (2023 წლის 25 იანვარი), მე-17 (29 მარტი), 22-ე (2023 წლის 30 აგვისტო) და 24-ე სხდომებს (26 ოქტომბერი).
ჩართული ვიყავი გენდერული თანასწორობის საბჭოს სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავებაში.



# განათლების განვითარება/რეგიონული გაძლიერება

სკოლა პროგრესის ბაზაზე დავაფუძნე გაეროს მოდელირების კლუბები, რომლებიც ეხმიანება "განათლება ყველასთვის" მიზნებს და რეგიონში მცხოვრები ბავშვებისთვის არის შესაძლებლობა მიიღონ თანამედროვე განათლება;

მდგრადი განვითარების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ კომისიასთან პარტნიორობით, ქუთაისისა და ბათუმის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებს მიეცათ შესაძლებლობა მეტი გაეგოთ წყლის რესურსის და ენერგეტიკაში მისი როლის შესახებ;

ევროინტეგრაციის პროცესის ხელშესაწყობად და ახალგაზრდების ევროპული სამართლის პრინციპების გასაცნობად, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სკოლა პროგრესის პარტნიორობის ფარგლებში, ჩავუშვი ექვს თვიანი პროგრამა: "ევროკავშირის სამართალი";

ვმუშაობ პროგრამაზე, რომელიც მიზნად ისახავს მდგრადი ანვითარებისა და მეწარმეობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას რეგიონის ახალგაზრდებში, როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლიდან;

შევიმუშავე პროფესიული კოლეჯის კონცეფცია და პროგრამა, რომელმაც გაიარა ავტორიზაცია. კოლეჯი განკუთვნილი იქნება საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის. კოლეჯის მთავარი მიმართულებები იქნება თანამედროვე ტექნოლოგიები.

## პირადი ქველმოქმედება

თავდაცვის ძალების ვეტერანების შვილებს (3 მოსწავლე) ვუფინანსებ სკოლა პროგრესში სწავლის სრულ კურსს;

იმერეთის რეგიონში მცხოვრებ გოგონებს ვუფინანსებ STEM განათლებას;

იმერეთის რეგიონში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ, მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებს ვუფინანსებ სწავლის ღირებულებას.



# უკრაინული ოჯახების მხარდაჭერა

უკრაინაში საომარი მოქმედებების დაწყების შემდგომ, სკოლა პროგრესის ბაზაზე არა ერთი საქველმოქმედო აქცია დაიგეგმა ჩემი, სკოლის თანამშრომლებისა და სკოლის მშობელთა ქსელის ერთობლივი ფინანსური და სხვა ტიპის მატერიალური ძალისხმევით. აქციები მიმართული იყო უკრაინაში მცხოვრები ოჯახების ფულით, საკვებით, სამოსით და სხვა საჭირო მატერიალური რესურსით დახმარებაზე.

ერთ-ერთი ბოლო ინიციატივა, რომელიც საქართველოში მცხოვრები უკრაინული ოჯახების მხარდასაჭერად, 2022-2023 სასწავლო წლის ფარგლებში, სკოლა პროგრესის ბაზაზე განვახორციელე, იყო ფსიქოლოგიური თერაპიისა და ინგლისური ენის შემსწავლელი ექვს თვიანი კურსი. აღნიშნული კურსით, სრულად უსასყიდლოდ, ჯამში, 20-მდე უკრაინულმა ოჯახმა ისარგებლა.



# ქართულ-ებრაული ურთიერთობების ხელშეწყობა

2023 წელს, თანამოაზრეებთან ერთად შევქმენი ქალაქ ქუთაისში არსებული ებრაული სასაფლაოების პატრონაჟის ფონდი;

2023 წელს “ ალომ კლუბი იმერეთის” თანადამფუძნებელი გავხდი. კლუბი არის ისრაელის საელჩოს მხარდაჭერით შეიქმნა და მისი მიზანი არის ქვეყნებს შორის წარმატებული პრაქტიკების გაზიარება, გაცვლითი ვიზიტების, სასწავლო პრაქტიკების ორგანიზება და სოფლის მეურნეობისა და პროფესიული განათლების მიმართულებით აქტიური თანამშრომლობა.

# პოლიტიკის ფორმირების პროცესებში ჩართულობა

(ქალების გაძლიერება, პროფესიული განათლების განვითარება)

აქტიურად ვთანამშრომლობ "საქართველოს განათლებისა და ბიზნესის ეროვნულ აკადემიასთან" საანგარიშო წლის მანძილზე მონაწილეობა მივიღე საქართველოს ფარგლებში გამართულ სამ კონფერენციაში.

აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობისას ჩემი მთავარი მიზანია ახალგაზრდების უწყვეტი განათლების, რეგიონული გაძლიერების, განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის ზრდის და სხვა დაკავშირებული საკითხების შესახებ დისკუსია აქტუალიზაცია და ხელი შევუწყო ამ პროცესებში ბიზნეს სექტორის დაინტერესებას და ჩართულობას;

"ამერიკის ბიზნეს სავაჭრო პალატა საქართველოში" არის ორგანიზაცია, რომელთან ჩემი მჭიდრო თანამშრომლობა ემყარება მიზანს, ვიყო რეგიონის ელჩი, რომელიც რეგიონებში არსებულ საჭიროებებზე ისაუბრებს ბიზნეს და დიპლომატიურ წრეებში. სწორედ, აღნიშნული მიზნის რეალიზაციისათვის, 2022-2023 წლებში სავაჭრო პალატის მიერ გამართულ ექვს ფორუმში ვიღებდი მონაწილეობას. ამასთან, ამერიკის სამრეწველო პალატასთან პარტნიორობით, ვმონაწილეობ სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების გაძლიერების პროგრამების ფინანსურ მხარდაჭერაში.

# პოლიტიკის ფორმირების პროცესებში ჩართულობა

(ქალების გაძლიერება, პროფესიული განათლების განვითარება)

სკოლა პროგრესის ბაზაზე არსებული PreSchool-ის წინა სასკოლო მომზადების პრაქტიკის საფუძველზე დაყრდნობით, აქტიურად ვიყავი ჩართული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებით მიმდინარე სკოლამდელი განათლების მოდელის შემუშავების პროცესებში. ჩემი მხრიდან გაზიარებული წარმატებული მეთოდოლოგია მნიშვნელოვან კონტრიბუციას წარმოადგენს ეროვნული სკოლამდელი განათლების საჯარო მოდელის შემუშავებაში.

ქალების გაძლიერება ჩემი, როგორც ქალის ლიდერისთვის არის ერთ-ერთი საკვანძო მიმართულება. ბიზნეს ასოციაცია "ქალები მომავლისთვის", მაძლევს შესაძლებლობას ვიყო ჩართული გოგონების მდგრადი გაძლიერების ინციატივების შემუშავებასა და მათ მხარდაჭერაში.

ახალგაზრდა დედებისა და მრავალშვილიანი დედების პროფესიული განათლებით აღჭურვა, როგორც მათი გაძლიერების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი არის ჩემი განსაკუთრებული ინტერესისა და პატრონაჟის საგანი.